ფეხბურთი

გუშინ ლ. ბერიას სახელობის თბილისის "დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

შეხვედრის დასაწყისში ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ინიციატივა თანდათან ხელთ იგდეს თბილისელებმა და მათ შეძლეს რამოდენიმე კრიტიკული მომენტის შექმნა მინსკელთა კართან. მე-18 წუთზე მინსკელთა მეკარემ არაზუსტად მოიგერია მაღალი ბურთი და ანგარიში გაიხსნა თბილისელთა სასარგებლოდ. 35-ე წუთზე ა. ღოღობერიძემ მეორე ბურთი გაიტანა მინსკელთა კარში.

მატჩის მეორე ნახევარში თამაშის ტემპი გაცხოველდა. მინსკელებმა შეძლეს ერთი საპასუხო გოლის გატანა. მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

"კომუნისტი", 29 აპრილი 1950 წ.